სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 998 /06

ქ. თბილისი 21 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,იმედი +'' (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლელა ბექაურის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის შეაბამისად(2018 წლის 20 სექტემბრის N1835 განკარგულება), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების (09-1/76/129 21.08.2018) დაფინანსების ფარგლებში ,,,მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018"-წლის ღონისძიებებისთვის ინვენტარის(CPV-30100000 , 22100000 ,22800000, 39200000, 39100000, 35800000 ,79900000)- სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	სრული ღირებულება
1	**მოსაწვევები** - მოსაწვევები, მისალოცები - ღიაბარათი 21.0 x 9 სმ, 250გრ, ცარცი, ლამინირება -ორმხრივი მატი.დამკვეთის დიზაინით. (CPV- 22140000)	1000	0.34	340.00
2	**საქაღალდე** - ქაღალდის ჩანთები - ა4+, 300 გრ მატი ცარცი, მატი ლამინაცია + შერჩევითი ლაკი, თოკის სახელური, სრულფერიანი ბეჭდვა. დიზაინი დამკვეთთან შეთანხმებით. (CPV – 22852000)	500	3,50	1750.00
3	**სერთიფიკატის ჩარჩო** - A4 ფორმატი ზომის ჩასადები ხის დასაკიდი ჩარჩო საკიდებით (CPV – 39298200)	100	5.00	500.00
4	**პუფები** - ფერადი პუფები ბრენდირებული ერთ ფერში (CPV – 39110000)	25	50.00	1250.00
5	**ბლანკები** - A4, ფერადი, ცალმხრივი ბეჭდვა (CPV – 22140000)	1000	0.15	150
6	**მაგიდაზე სადგამი დროშები** - – მასალა: ატლასი – აქსესუარები: მეტალის სადგამი	50	10.00	500.00

	– ზომა: მოთხოვნისამებრ – გამოსახულების შესაძლო არე: ზომის მხიედვით – ბეჭდვის შესაძლო ფერთა რაოდენობა: იასამნისფერი თეთრ დროშაზე ან იასამნისფერზე თეთრი დროშა. შეფუთვა: პარკი (CPV – 35821000)			
7	**დროშა გირლიანდები -მონტაჟით** – მასალა: წყალგამძლე სტიკერი ან ნაჭერი – აქსესუარები: თოკი – ზომა: მოთხოვნისამებრ – გამოსაუხლების შესაძლო არე: ზომის მხიედვით – ბეჭდვის შესაძლო ფერთა რაოდენობა: სრულფეროვანი (CPV – 35821000)	150 (მეტრი)	3,06	459.00
8	**დროშა მეტალის კონსტრუქციით -** – მასალა: მეტალი, პოლიესტერი – აქსესუარები: მეტალის სადგამი კონსტრუქცია – სიმაღლე: მინიმუმ 1მ, მაქსიმუმ 2.5მ. – ბეჭდვის შესაძლო ფერთა რაოდენობა: თეთრზე იასამნისფერი ან იასამნისფერზე თეთრი. (CPV – 35821000)	20	130.00	2600.00
9	**კონვერტი -** მასალა: ცარცი – ზომა: A6, – გამოსაუხლების შესაძლო არე: სრული – ბეჭდვის შესაძლო ფერთა რაოდენობა: სრულფეროვანი, (CPV – 30199230)	1000	0.30	300.00
10	**ლაითბოქსი -** ფესტივალის ლოგო განათებული და შემდგარი მართკუთხა განივ ფორმაზე, რომელშიც ასევე განათებული იქნება ტექსტი #აღმოაჩინე და #explore (2 ქართული, 2 ინგლისური ლაითბოქსი). ლაითბოქსის სიმაღლე180სმ. ქვედა ნაწილის სიგანე - 200სმ. (CPV – 79931000)	4	1650.00	6600.00
11	**ბადებანერები** - 12მX1.7მ დაშვებული თსუ პირველი კორპუსის ფასადზე დამონტაჟების მომსახურებით. (CPV – 79931000)	4	600.00	2400.00
12	**პრეს ბანერი** - 300x200 გადაჭიმული მეტალის კონსტრუქციაზე. ფერადი. (CPV – 79931000)	4	364.00	1820.00
13	**ფეხზე სადგომი კონსტრუქცია** - ზეზვა და მზიას გამოსახულება მყარ ქაფის მასალაზე. სიმაღლე 200სმ-მდე. უკან საყრდენი ფეხით. დიზაინის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი. (CPV – 79931000)	10	660.00	6600.00
14	**გარე ბანერი გადასაჭიმი** - დაახლოებითი ზომა: 800სმX200სმ წყალგამძლე ბანერი, გადაჭიმული თსუ პირველი კორპუსის ეზოს შემოსასვლელებში. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბანერების დაკიდება და ჩამოხსნა. (CPV – 79931000)	2	480.00	960.00
15	**გსააშლელი ბანერი (ქვემოდან ზემოთ გასაშელი)** – 85cm x 200cm. სურათი შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისი	20	88,57	1771.40

	(CPV – 79931000)			
16	**დასადგმელ ი ბანერი (საპრეზენტა ციოკედელი) -** 224cm x 224cm (CPV – 79931000)	2	253.00	506.00
17	**დასადგმელ ი ბანერი (საპრეზენტა ციოკედელი) –** 298cm x 224cm (CPV – 79931000)	1	335.00	335.00
18	**საინფორმაციო პოსტერი** - 300cm x 130cm (CPV – 79931000)	1	35.00	35.00
19	**საინფორმაც იო პოსტერი (ბანერი)** - 300cm x 90cm (CPV – 79931000)	1	25.00	25.00
20	**დიდი ბანერები** - მასალა: ტექსტილი, პოლიესტერი. 100cm x 250cm (CPV – 79931000)	5	90.00	450.00
21	**დიდი ბანერი** - 100cm x 300cm მასალა: ტექსტილი, პოლიესტერი. (CPV – 79931000)	3	110.00	330.00
22	**დიდი ბანერი ლუვერსებით** - მასალა: ტექსტილი, პოლიესტერი. ზომა: 300cm x 130cm (CPV – 79931000)	1	120.00	120.00
23	**დიდი ბანერი ლუვერსებით** - მასალა: ტექსტილი, პოლიესტერი. ზომა: 300cm x 90cm (CPV – 79931000)	1	84.00	84.00
სულ ჯამური ღირებულება:				29885.40

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **29885.40 (ოცდაცხრაათასრვაასოთხმოცდახუთი ლარი და 40 თეთრი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნანა მამაგულიშვილი.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: ფაქტობრივად მოწოდებული პროდუგციის შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.#1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბერისა.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1.შემოთავაზებული პროდუგციის ფასი გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის
თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1

რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური
საბიუჯეტო დაფინანსება
თსუ-სა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის გაფორმებული (09-1/76/129 21.08.2018) ხელშეკრულების ფარგლებში ჩარიცხული თანხები
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 32 04 05 0103
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

მიმწოდებელი
შპს „იმედი +"

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, წერონისის ქ., N 113
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თი ბი სი ბანკი"

ა/ა GE75TB 7098936080100007

ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 400059351

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ. ოვსიანიკოვა/

დირექტორი:

/ლ.ბექაური/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 21 სექტემბერი 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 21 სექტემბრის №998/06 ხელშეკრულებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს შპს ,,იმედი+''-თან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
/ნ.ოვსიანიკოვა/

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე:
/ლ.საღინაძე/

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:
/ი.საღარეიშვილი/

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:
/ა.კუკულავა/

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი:
/ს.სანაძე/

მოამზადა: შესყიდვების მთავარი სპეციალისტი:
/დ.ფერაძე/